№201 2016 წლის 11 თებერვალი ქ. თბილისი

„თვლიანი სატრანსპორტო საშუალებებისათვის და იმ მოწყობილობების და ნაწილების საგნებისათვის, რომლებიც შესაძლებელია დაყენდეს ან/და გამოყენებულ იქნეს თვლიან სატრანსპორტო საშუალებებზე, ერთგვაროვანი ტექნიკური მიწერილობების მიღების და ამ მიწერილობების საფუძველზე გაცემული ოფიციალური დამტკიცების ურთიერთაღიარების პირობების შესახებ შეთანხმების“ საქართველოში იმპლემენტაციისათვის აუცილებელი ღონისძიებების თაობაზე

1. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ევროპული ეკონომიკური კომისიის ეგიდით შემუშავებული, 1958 წლის 20 მარტს ქ. ჟენევაში გაფორმებული „თვლიანი სატრანსპორტო საშუალებებისათვის და იმ მოწყობილობების და ნაწილების საგნებისათვის, რომლებიც შესაძლებელია დაყენდეს ან/და გამოყენებულ იქნეს თვლიან სატრანსპორტო საშუალებებზე, ერთგვაროვანი ტექნიკური მიწერილობების მიღების და ამ მიწერილობების საფუძველზე გაცემული ოფიციალური დამტკიცების ურთიერთაღიარების პირობების შესახებ შეთანხმების“ (შემდგომში – სატრანსპორტო საშუალებების რეგულირების შესახებ 1958 წლის შეთანხმება) ქვეყანაში იმპლემენტაციის მიზნით შეთანხმებასთან მიმართებით ქვეყნის კომპეტენტურ ორგანოდ განისაზღვროს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო.

2. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს, როგორც სატრანსპორტო საშუალებების რეგულირების შესახებ 1958 წლის შეთანხმებასთან მიმართებით ქვეყნის კომპეტენტურ ორგანოს, დაეკისროს პასუხისმგებლობა ქვეყნის ტერიტორიაზე შეთანხმებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე.

3. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრომ შესაბამისი სამინისტროებისა და უწყებების, კერძოდ, საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს, სსიპ – საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სსიპ – შემოსავლების სამსახურის, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სსიპ – სახმელეთო ტრანსპორტის სააგენტოს, სსიპ – საქართველოს სტანდარტებისა და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტოს, სსიპ – აკრედიტაციის ერთიანი ეროვნული ორგანოს – აკრედიტაციის ცენტრის მონაწილეობით ამ განკარგულების გამოცემიდან 3 თვის ვადაში შეიმუშაოს ქვეყანაში სატრანსპორტო საშუალებების რეგულირების შესახებ 1958 წლის შეთანხმების იმპლემენტაციის სამოქმედო გეგმა და წარუდგინოს საქართველოს მთავრობას დასამტკიცებლად.

პრემიერ-მინისტრი **გიორგი კვირიკაშვილი**